ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 126

ქალაქი ქუთაისი 30 ნოემბერი 2018 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის
14 მარტის №61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 მარტის №61 განკარგულებაში, კერძოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №252 – №257 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი რამაზ ჩხიკვაძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2018 წლის 30 ნოემბრის

№ 126 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და

სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით, ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
252.	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, გურამიშვილის ქუჩა № 22-ის სამხრეთით	62	03.06.25.369	100.0 (1 კვ.მ.-ზე)	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
253.	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქ ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 21ა-ს სამხრეთით	2602	03.01.24.215	135.0 (1 კვ.მ.-ზე)	პირობით: აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ შეძენილ ქონებაზე, ორი წლის განმავლობაში განახორციელოს არანაკლებ 400000 ლარის ინვესტიცია	აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონზე დასახელებული საბოლოო ღირებულების გადახდა (აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მის მიერ გადახდილი თანხის გამოკლებით) უნდა განახორციელოს არაუგვიანეს 2019 წლის 25 დეკემბრისა
254.	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ბუკიას ქუჩა № 25-ის მიმდებარედ	111	03.01.24.593	44.0 (1 კვ.მ.-ზე)	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
255.	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, სულხან–საბას გამზირი № 10-ის მიმდებარედ	300	03.05.27.008	32.0 (1 კვ.მ.-ზე)	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
256.	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, თაბუკაშვილის ქუჩა № 187-ის ჩრდილო–აღმოსავლეთით	178	03.05.25.426	44.0 (1 კვ.მ.-ზე)	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
257.	არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა–ნაგებობით	ქალაქი ქუთაისი, სულხან–საბას გამზირი (ყოფილი მშენებლის ქუჩა) № 10 (ნაკვეთი № 16)	მიწა – 6420.60 კვ.მ. შენობა – 2104.86 კვ.მ.	03.05.01.912	435217	უპირობოდ	აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონზე დასახელებული საბოლოო ღირებულების გადახდა (აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მის მიერ გადახდილი თანხის გამოკლებით) უნდა განახორციელოს არაუგვიანეს 2019 წლის 20 დეკემბრისა

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი რამაზ ჩხიკვაძე